განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ

დადგენილების პროექტი მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91-ე მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2024 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები შეესაბამება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-6 და მე-6[1] პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსების წყაროს მთლიანად წარმოადგენს ბიუჯეტის შემოსულობები და არ არის დაგეგმილი ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული თავისუფალი სახსრების (ნაშთის) გამოყენება.

2024 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის **შემოსულობების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **33 503,0 ათასი ლარის** ოდენობით, 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტთან (29 684,6 ათ. ლარი) მიმართებაში გაზრდილია 3 818,4 ათასი ლარით (13%), მათ შორის, 3 795,1 ათასი ლარით გაზრდილია საგადასახადო შემოსავლები, 228,0 ათასი ლარით - სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი და 204,7 ათასი ლარით შემცირებულია მიზნობრივი ტრანსფერი.

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიმდინარე წლის 5 ოქტომბერს მიღებული წერილის (N 04-03/78374) გათვალისწინებით, განისაზღვრა **26 824,6** ათასი ლარის ოდენობით. 2023 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (**23 029,6** ათ. ლარი) მიმართებაში გაზრდილია 3 795,1 ათასი ლარით (16%), მათ შორის:

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 12 824,7 ათასი ლარით; 2023 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (10 079,6 ათ. ლარი) შედარებით დღგ გაზრდილია - 2 745,1 ათასი ლარით (27,2%).

ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 14 000,0 ათას ლარს; 2023 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (12 950 ათ. ლარი) შედარებით ქონების გადასახადი გაზრდილია 1 050,0 ათასი ლარით (8%).

2024 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრა **270,3** ათასი ლარით, კერძოდ, **მიზნობრივი ტრანსფერი** დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად;

მიზნობრივი ტრანსფერი 2023 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (475,0 ათასი ლარი) შედარებით შემცირებულია 204,7 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლით.

სხვა შემოსავლების სახით დაგეგმილი საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 5 808,0 ათასი ლარით, 2023 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (**5 580,0** ათ. ლარი) შედარებით გაზრდილია 228,0 ათასი ლარით (4%), მათ შორის:

შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 2 120,0 ათასი ლარის ოდენობით, 2023 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (**1 920,0** ათ. ლარი) შედარებით გაზრდილია 200,0 ათასი ლარით (10%), **მათ შორის:**

პროცენტების მაჩვენებელი უცვლელია და განსაზღვრულია 1 000,0 ათასი ლარის ოდენობით.

რენტა - 1 120,0 ათასი ლარი;

2023 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (920,0 ათ. ლარი) შედარებით საპროგნოზო მაჩვენებელი იზრდება 200,0 ათასი ლარით (22%), კერძოდ, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან **მისაღები შემოსავლები განსაზღვრულია 1 440,0** ათასი ლარის ოდენობით, 2023 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან - 1 420,0 ათ. ლარი - შედარებით იზრდება 20,0 ათასი ლარით (1,4%), მათ შორის:

სანებართვო მოსაკრებლების მაჩვენებელი უცვლელია და განსაზღვრულია 400,0 ათასი ლარით;

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის უცვლელია და განსაზღვრულია 1 000,0 ათასი ლარით;

არა საბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები - 40,0 ათასი ლარი;

2023 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (20,0 ათ. ლარი) შედარებით აღნიშნული მოსაკრებელის საპროგნოზო მაჩვენებელი იზრდება **20,0 ათასი** ლარით (**100%**).

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 2 248,0 ათასი ლარის ოდენობით, 2023 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (2 240,0 ათ. ლარი) შედარებით საპროგნოზო მაჩვენებელი იზრდება 8,0 ათასი ლარით (0,4%). მათ შორის:

შემოსავალი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო მაჩვენებელი უცვლელია და განსაზღვრულია 2 000,0 ათასი ლარით;

შემოსავალი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო -50,0 ათასი ლარი, ზრდა 0,5 ათ.ლარი (1%);

შემოსავლები სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 198,0 ათ. ლარი, 2023 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (190,5 ათასი ლარი) შედარებით იზრდება 7,5 ათასი ლარით (4%).

შემოსავლები არაფინანსური აქტივების კლებიდან (პრივატიზაცია) უცვლელია და განსაზღვრულია 600.0 ათასი ლარის ოდენობით;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 33 503,0 ათას ლარს, 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (**29 684,6** ათას ლარი) შედარებით გაზრდილია **3 818,4** ათ. ლარით (13 %-ით).

საქართველოს 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით 2023 წელთან შედარებით გაზრდილია „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საბაზო თანამდებობრივი სარგო და განსაზღვრულია 1330 ლარის ოდენობით. შესაბამისად, საჯარო სექტორში დასაქმებულ ყველა იმ მოხელეზე, ვისზედაც ვრცელდება ზემოთ აღნიშნული კანონი, გადაანგარიშებულია თანამდებობრივი სარგოების მოცულობები, რაც შეეხება შრომის ანაზღაურების ფონდს, მისი მოცულობა გაანგარიშებულია მოქმედი საშტატო განრიგის მიხედვით და გაზრდილია 10%-ით.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება - 7 280,5 ათასი ლარი;

2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 7 409,0 ათასი ლარი - მიმართებაში შემცირებულია 128,5 ათასი ლარით (1,7%);

- **02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება** - 1 250,0 ათასი ლარი;

2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან 2 025,0 ათასი ლარი - მიმართებაში შემცირებულია 775,0 ათასი ლარით (38%);

მათ შორის:

02 01 02 გზების კაპიტალური შეკეთება 1 250,0 ათასი ლარი;

- **02 02 წყლის სისტემების** განვითარება - 1 260,0 ათასი ლარი,

- 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან 2 234,0 ათასი ლარი - მიმართებაში შემცირებულია 974,0 ათასი ლარით (44%);

02 02 01 სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა - 1 160,0 ათასი ლარი; (შპს "მცხეთის სოფწყალი"-ს ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსება);

02 02 03 საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - 100,0 ათასი ლარი;

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საკანალიზაციო სისტემების გაწმენდა მუნიციპალიტეტის სოფლებში: საგურამო, ძეგვი, წეროვანი, წინამძღვრიანთკარი და ქალაქ მცხეთაში, არმაზის დასახლებაში.

- **02 03 გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია 1 660,0 ათასი ლარი, მათ შორის:**

02 03 01 01 გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება - 1 300,0 ათასი ლარი;

02 03 01 02 გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა - 360,0 ათასი ლარი; (ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"-ს ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსება);

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა;

- **02 04 მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია - 100,0 ათასი ლარი;**

2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 80,0 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 20,0 ათასი ლარით (25%) .
პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადმინისტრაციული შენობის მოვლა-პატრონობა.

- **02 05 სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება** (ახალი პროგრამა) - 1 180,5 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხელშეკრულების პირობების მიხედვით 10 (ათი) ერთეული ავტობუსის ღირებულების და ავტობუსების გეგმური ფლობის მომსახურების ანაზღაურება.

02 06 კეთილმოწყობის ღონისძიებები - 830,0 ათასი ლარი
2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 460,0 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 370,0 ათასი ლარით (80%) ;
მათ შორის:

02 06 01 საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (სკვერები და მოსაცდელები) - 300,0 ათასი ლარი, სკვერებში არსებული სასმელი წყლის ხარჯის დაფინანსება (2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 280,0 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 20,0 ათასი ლარით, 7%-ით);

02 06 03 დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა - 80,0 ათ.ლარი (ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"-ს დაფინანსება);

02 06 03 სადღესასწაულო ღონისძიებები - 450,0 ათასი ლარი

2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 100,0 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 350,0 ათასი ლარით (350%);
ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საახალწლო დეკორაციების და მასალების შეძენა/ მონტაჟი/ექსპლუატაცია/დემონტაჟი და სხვა სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის მუნიციპალიტეტის გაფორმება.

02 09 მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება - 1 000,0 ათ. ლარი;
2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 800,0 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 200,0 ათასი ლარით (25%) ;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო–სამონტაჟო და აღდგენა–რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა (600,0 ათ. ლარი). სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო–საძიებო და გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება და შესაბამისი დასკვნების მომზადება, დამუშავებული პროექტების ექსპერტიზა (400,0 ათ. ლარი).

სულ მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციისთვის განსაზღვრულია 3 430,5 ათასი ლარი:

ათასი ლარი

კოდი	**დასახელება**	**2024 წლის პროექტი**
02 00	**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**	
02 01 02	**გზების კაპიტალური შეკეთება**	
	სოფ. მუხათწყაროში შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები	340.0
	სოფ. მისაქციელში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (მე- 8 და მე-11 მონაკვეთი) (რგფ, 5% თანადაფინანსება)	38.0
	სოფ. ლისში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (რგფ, 5% თანადაფინანსება)	20.0
	სოფელ არაშენდაში შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა (რგფ, 5% თანადაფინანსება)	15.0

კოდი	დასახელება	2024 წლის პროექტი
	სოფელ წილკნის და წეროვნის დამაკავშირებელი გზის ასფალტ/ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები და სოფელ წეროვანში შიდა საუბნო გზების ასფალტ/ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები (რგფ, 5% თანადაფინანსება)	155.0
	სოფ. ქსანში შიდა საუბნო გზის ასფალტ-ბეტონის საფარით მოწყობა	382.0
	სოფ. ვაზიანში შიდა საუბნო გზის ასფალტ-ბეტონის საფარით მოწყობა	300.0
	ჯამი	**1,250.0**
02 04	**სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება**	**1,180.5**
02 04	**მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება (600.0 ათ. ლარი პროექტების, 400.0 ათ. ლარი)**	**1,000.0**
	სულ ჯამი	**3,430.5**

03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა - 3 000,0 ათასი ლარი;

2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 2 725,0 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 275,0 ათასი ლარით (10%) მათ შორის:

03 01 დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 2 775,0 ათასი ლარი

2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 2 500,0 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 275,0 ათასი ლარით (11%);
პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. დაფინანსდება (ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"-ს ხარჯები;

- **03 02 მწვანე ნარგავების გაშენება, მოვლა-პატრონობა - 145,0 ათასი ლარი**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გამწვანების ღონისძიებები, მუნიციპალიტეტში არსებული მწვანე საფარის და ნარგავების მოვლა-პატრონობა; დაფინანსდება (ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"-ს ხარჯები;

- **03 04 უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები - 80,0 ათასი ლარი.**

პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების დეჰელმეტიზაციის (ჭიაზე დამუშავება), დაჭერა-იზოლაციის, სტერილიზაციის, კასტრაციის, ვაქცინაციის (ანტირაბიული) და იდენტიფიკაციის (დანომრილი საჭდის ყურზე დამაგრება) მომსახურების შესყიდვა.

04 00 განათლება - 7 602,9 ათასი ლარი

2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 6 285,7 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 1 317,2 ათასი ლარით (21%);
მათ შორის:

- **04 01 სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა - 7 552,9 ათასი ლარი;**

2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 6 240,7 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 1 312,2 ათასი ლარით (21%) ;

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება";

- **04 04 ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა - 50,0 ათასი ლარი;**

2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 45,0 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 5,0 ათასი ლარით (11%) ;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მე-11 და მე-12 კლასის წარჩინებული მოსწავლეების წახალისება.

05 00 კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი - 3 274,0 ათასი ლარი ;

2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 2 861,5 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 412,5 ათასი ლარით (14,4%), მათ შორის:

- **05 01 სპორტის სფეროს განვითარება - 1 612,0 ათასი ლარი**

2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 1357,5 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 254,5 ათასი ლარით (18,7%),

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით.

- ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა - 330,0 ათ. ლარი;
- კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა - 298,0 ათ. ლარი;
- ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა - 453,0 ათ. ლარი;
- სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა - 281,0 ათ. ლარი;
- საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 250,0 ათ. ლარი;

- **05 02 კულტურის სფეროს განვითარება - 1 662,0 ათასი ლარი;**

2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 1 504,0 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 158,0 ათასი ლარით (10,5%);

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:

- კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა - 1 300,0 ათასი ლარი;
- მუზეუმების ხელშეწყობა - 42.0 ათ.ლარი.
- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა - 20.0 ათ.ლარი;
- კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა - ა(ა)იპ "მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი" – 300,0 ათასი ლარი;

06 00 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2 682,6 ათასი ლარი

2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან -1 947,9 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 734,7 ათასი ლარით (38 %);
მათ შორის:

- **06 01 ჯანმრთელობის დაცვა - 1 222,3 ათ.ლარი**

2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან -1 189,0 ათასი ლარი (მ.შ. მიზნობრივი ტრანსფერი 249,0 ათ. ლარი) - მიმართებაში გაზრდილია 33,3 ათასი ლარით (2,8%):

06 01 01 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება - 322,3 ათ. ლარი (მ.შ. მიზნობრივი ტრანსფერი - 270,3 ათასი ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსება - 52,0 ათასი ლარი).

2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 289,0 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 33,3 ათასი ლარით (11,5%);

პროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს დაფინანსებას „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად (მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობა, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება, უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნა.

06 01 02 მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება - 900.0 ათასი ლარი;

- **06 02 სოციალური დაცვა - 1 460,3** ათ.ლარი;

2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 758,9 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 701,4 ათასი ლარით (92,4%);

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი ქვეპროგრამების დაფინანსება:

06 02 01 ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 1 097,5 ათ. ლარი;
2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 462,4 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 635,1 ათასი ლარით (137%);
მათ შორის:

- სკოლამდელი ასაკის ბავშვების ტრანსპორტირება -200,0 ათ.ლარი;
- შშმ ბავშვების ტრანსპორტირება - 200.0 ათ.ლარი;
- საგურამოს შშმ პირთა დღის ცენტრის "იალონი" ბენეფიციარების სწავლების თანადაფინანსება - 2.4 ათ.ლარი;
- სოციალური პროგრამების დაფინანსება - 535,1 ათ.ლარი (მათ შორის, მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება, ცელიაკიით დაავადებული პირების ფინანსური დახმარება, სასურსათო კალათით დახმარება და სხვა);
- გაჭირვებული მოსახლეობისთვის სამშენებლო მასალების შეძენა - 80.0 ათ.ლარი;
- გაჭირვებული მოსახლეობისთვის შეშის შეძენა - 80.0 ათ. ლარი.

06 02 02 ერთჯერადი სოციალური დახმარება - 100.0 ათ. ლარი;
06 02 03 სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება - 4.0 ათ. ლარი;
06 02 04 დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება - 48,0 ათ.ლარი;
06 02 05 ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა - 77,8 ათ.ლარი;
06 02 06 ა(ა)იპ "მცხეთის უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის" - 133,0 ათ.ლარი.

- **01 00** ***მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები*** **- 9 663,0 ათასი ლარი**

2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 8 455,5 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 1 207,5 ათასი ლარით (14%);
მათ შორის:
01 01 01 მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაფინანსება - 1 340,3 ათასი ლარი;
01 01 02 მუნიციპალიტეტის მერია - 7 757,6 ათასი ლარი;
01 01 04 საჯარო მოხელეთა სწავლება-გადამზადება - 58,0 ათასი ლარი;
01 02 01 სარეზერვო ფონდი - 300,0 ათასი ლარი;
01 02 03 წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა (მგფ-ის სესხი) - 5 ცალი კომპაქტორიანი თვითმცლელი ნაგავმზიდი მანქანის და 200 ცალი ნარჩენების კონტეინერის შეძენის მიზნით, 2017 წელს სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და მცხეთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული სესხის (192,1 ათასი ლარი) დაფარვა. მათ შორის, ძირითადი თანხა (ვალდებულებების კლება) - 127,1 ათ. ლარი და პროცენტი - 65,0 ათ.ლარი.

01 02 04 მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა - 15,0 ათასი ლარი;

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრა:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2024 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის	
			საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ბიუჯეტი
	მცხეთის მუნიციპალიტეტი	33,503.0	33,232.7	270.3
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	9,663.0	9,663.0	-
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	9,155.9	9,155.9	-
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,340.3	1,340.3	-
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	7,757.6	7,757.6	-
01 01 04	საჯარო მოხელეთა პროფესიული სწავლება	58.0	58.0	-
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	507.1	507.1	-
01 02 01	სარეზერვო ფონდი	300.0	300.0	-
01 02 03	წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა (მგფ-ს სესხი)	192.1	192.1	-
01 02 04	მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	15.0	15.0	-
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	7,280.5	7,280.5	-
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1,250.0	1,250.0	-
02 01 02	გზების კაპიტალური შეკეთება	1,250.0	1,250.0	-
02 01 03	გზების კეთილმოწყობა	-	-	-
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1,260.0	1,260.0	-
02 02 01	სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	1,160.0	1,160.0	-
02 02 03	საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	100.0	100.0	-
02 03	გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	1,660.0	1,660.0	-
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	1,660.0	1,660.0	-
02 03 01 01	გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება	1,300.0	1,300.0	-

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2024 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის	
			საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ბიუჯეტი
02 03 01 02	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	360.0	360.0	-
02 04	მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	100.0	100.0	-
02 05	სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება	1,180.5	1,180.5	-
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	830.0	830.0	-
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (სკვერები და მოსაცდელები)	300.0	300.0	-
02 06 02	დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა	80.0	80.0	-
02 06 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	450.0	450.0	-
02 09	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	1,000.0	1,000.0	-
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3,000.0	3,000.0	-
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2,775.0	2,775.0	-
03 02	მწვანე ნარგავების გაშენება, მოვლა-პატრონობა	145.0	145.0	-
03 02 01	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	145.0	145.0	-
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	80.0	80.0	-
04 00	განათლება	7,602.9	7,602.9	-
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	7,552.9	7,552.9	-
04 04	ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა	50.0	50.0	-
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	3,274.0	3,274.0	-
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1,612.0	1,612.0	-
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1,612.0	1,612.0	-
05 01 01 01	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	330.0	330.0	-
05 01 01 02	კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა	298.0	298.0	-

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2024 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის	
			საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ბიუჯეტი
05 01 01 03	ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა	453.0	453.0	-
05 01 01 04	სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა	281.0	281.0	-
05 01 01 05	საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	250.0	250.0	-
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,662.0	1,662.0	-
05 02 01	კულტურის დაწესებულებების ხელშეწყობა	1,342.0	1,342.0	-
05 02 01 01	კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა	1,300.0	1,300.0	-
05 02 01 04	მუზეუმების ხელშეწყობა	42.0	42.0	-
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	20.0	20.0	-
05 02 05	კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	300.0	300.0	-
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,682.6	2,412.3	270.3
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1,222.3	952.0	270.3
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	322.3	52.0	270.3
06 01 02	მოქალაქეების მკურნალობის და ოპერაციების ხარჯების დაფინანსება	900.0	900.0	-
06 02	სოციალური დაცვა	1,460.3	1,460.3	-
06 02 01	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	1,097.5	1,097.5	-
06 02 02	ერთჯერადი სოციალური დახმარება	100.0	100.0	-
06 02 03	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება	4.0	4.0	-
06 02 04	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება	48.0	48.0	-
06 02 05	ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა	77.8	77.8	-
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	133.0	133.0	-

მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 9 535,9 ათასი ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა - 2 960,5 ათასი ლარი;
- გარემოს დაცვა - 3 000,0 ათასი ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 4 320,0 ათასი ლარი;
- დასვენება, კულტურა და რელიგია - 3 274,0 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა - 322,3 ათასი ლარი;
- განათლება - 7 602,9 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა -2 360,3 ათასი ლარი;

დადგენილების ავტორი და წარმდგენი

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 02 თებერვლის N8 დადგენილებით დამტკიცებული „მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების“ შესაბამისად, დადგენილების პროექტის ავტორია მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, ხოლო წარმდგენი - სამსახურის ხელმძღვანელი ილია ციციშვილი.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ილია ციციშვილი